ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1965768

ნომერი: AR1319701

თარიღი : 18.06.2015

გაცემის თარიღი : 22.06.2015

გაცნობის თარიღი : 22.06.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქ. თბილისი, მ.კოსტავას I შესახვევი N1./ ქალაქი თბილისი , კოსტავას I გასასვლელი , N1(ნაკვ.10/37) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზაზა ქოჩიაშვილი პ/ნ 01022001326
- თემქა

ორგანიზაცია:
- შპს ჯიდიგრუპი კოდი: 401978598

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1023026
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 16.12.2013

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სავაჭრო-საოფისე
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თ.დათებაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "GD Group"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 401978598

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "GD Group"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 401978598
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ზაზა ქოჩიაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01022001326;

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 470.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 409.8
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 2600.7
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 1329.6
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 604.1
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 166.6
- .სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 282.9
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 217.5
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 8662.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 7450.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1212.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 28.1
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 25.1
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 381.4კვმ კ1=0.8
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 2250.1 კ2=4.8
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 47კვმ კ3=0.1

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: #1212003
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 10.04.2014

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ საკითხის შესწავლისას, წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლენილ იქნა ხარვეზები, კერძოდ:

1. მოთხოვნის ტექსტში დამატებით მითითებული უნდა იქნეს დემონტაჟის პროექტის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის მოთხოვნა;
2. გენგეგმის ველში არ არის ატვირთული ტოპო გეგმის pdf ვერსია;

3. წარმოდგენილ სადემონტაჟო გენგეგმაზე დროებითი ღობე ნაწილობრივ განთავსებულია მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე. დროებითი ღობე საჭიროა განთავსდეს საპროექტო მიწის ნაკვეთის საზღვრებში, ან წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი მომიჯნავე მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა თანხმობა (შესაბამისი ფორმით დამოწმებული) მათ კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე სამუშაოების ჩატარებაზე;
4. პროექტის შესაბამისად სამუშაოების განხორციელება გულისხმობს მიწის ნაკვეთზე არსებული ხეების მოჭრას ან გადარგვას, რასთანაც დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის შესაბამისი თანხმობა მოჭრაზე ან/და გადარგვაზე. ამასთან, გენგეგმაზე ნაჩვენები უნდა იქნეს საპროექტო მდგომარეობა (წარმოდგენილია შეთავსებული არსებული ტოპო გეგმა და საპროექტო გენგეგმა, სადაც საპროექტო შენობის ადგილზე ამავე დროს ნაჩვენებია არსებული ხეები);
5. 1–1 და დ–დ ღერძების გადაკვეთაზე +3.70 ნიშნულზე გეგმაზე გაურკვეველია საზაფხულო ფართის გრაფიკული გამოსახულება – არ არის ნაჩვენები არც შემომზღუდავი მოაჯირი და არც კედელი. ამასთან, აღნიშნულ მონაკვეთში, როგორც +3.70 ნიშნულზე, ასევე +20.20 ნიშნულზე, დარღვეულია სამეზობლო მიჯნაში განთავსების წესები;
6. პროექტში არ არის ნაჩვენები კ3 კოეფიციენტის მითითებული საანგარიშო 47 კვ.მ ფართის შესაბამისი გამწვანება;
7. ფოტომონტაჟზე შენობის ფასადებზე ნაჩვენებია წარწერები, რაც არ არის ნაჩვენები ფასადების ნახაზებზე. ფასადის ნახაზები და ფოტომონტაჟები უნდა შესაბამებოდეს ერთმანეთს, ამასთან გათვალისიწნებული უნდა იქნეს წარწერების შესრულება ქართულ ენაზე (უცოენოვანი წარწერა ზომით და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს ქართულს);
8. შესრულებული უნდა იქნეს 16.12.2013წ. №1023026 გაპით განსაზღვრული პირობა: არსებობის შემთხვევაში ღია ავტოსადგომები განთავსდეს საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტროს საზღვრებში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.